პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

26.07.2016

ProCredit Bank, 21 Al. Kazbegi Ave., 0160 Tbilisi, Georgia
პროკრედიტ ბანკი, ალ. ყაზბეგის გამზ. 21, 0160 თბილისი

**სათავო ოფისი**
საკორესპონდენტო ურთიერთობის ქვეგანყოფილება

ავტორი : თამთა ჯღარკავა

ტელეფონი : +995 32 2202222 (შიდა 1280)
ფაქსი : +995 32 2202223
ელ-ფოსტა : t.jgarkava@procreditbank.ge

თარიღი : 26.07.2016

**ბენეფიციარი:**

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტი**
**ს/კ 220416967**

ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90

# საბანკო გარანტია წინასწარ გადახდაზე

წინამდებარე საბანკო გარანტიით ს.ს. "პროკრედიტ ბანკი" გარანტად დგება **ზუგდიდის მუნიციპალიტეტი-ს** (შემდგომში "ბენეფიციარი") წინაშე **შპს „მაიჯიპიეს"-ს** (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №20; საიდენტიფიკაციო კოდი: 205216176) (შემდგომში "პრინციპალი") სასარგებლოდ, პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის *ქ. ზუგდიდში 2016 წლის 25 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №146-ის* პირობების შესაბამისად წინასწარი (საავანსო) გადახდის უზრუნველყოფის მიზნით.
**საბანკო გარანტიის ზღვრული თანხაა 200,072.54 (ორასი ათას სამოცდათორმეტი ლარი და 54თეთრი) ლარი.**
საბანკო გარანტია ძალაში შედის პრინციპალის მიერ წინასწარი (საავანსო) გადახდის მიღების პროპორციულად პრინციპალის ანგარიშზე სს "პროკრედიტ ბანკი"-ში.
საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაა **2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.**
ს.ს. "პროკრედიტ ბანკი" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ბენეფიციარს ყოველგვარი გასაჩივრებისა და უარყოფის გარეშე საბანკო გარანტიის ზღვრული თანხა ბენეფიციარისაგან პირველივე წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს, რომ დაირღვა პრინციპალის მიერ ბენეფიციარის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და რომ ბენეფიციარი უფლებამოსილია მოითხოვოს მის მიერ ავანსად გადახდილი თანხა.
წინამდებარე საბანკო გარანტიის საფუძველზე გარანტის მიერ შესრულებული გადახდები, ამავე გადახდების თანხით ამცირებს საბანკო გარანტიის თანხას.
საბანკო გარანტია წყდება:

1. ვადის გასვლით;
2. წინამდებარე გარანტიით გათვალისწინებული შესაძლო გადახდების ბენეფიციარისათვის გადახდით საბანკო გარანტიის ფარგლებში;
3. ბენეფიციარის მიერ თავის უფლებებზე წერილობითი უარის თქმის შემთხვევაში, რომლის საფუძველზეც მოხდება წინამდებარე საბანკო გარანტიის გაუქმება.

წერილობითი მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე (უფლებამოსილი პირის მიერ სათანადოდ ხელმოწერილი, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნილი თანხა) წარედგინება გარანტს გარანტიის მოქმედების ვადის დასრულებამდე შემდეგ მისამართზე: სს "პროკრედიტ ბანკი", სათაო ოფისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №21, 0160 თბილისი, საქართველო.
პატივისცემით,
**ს.ს "პროკრედიტ ბანკი", საქართველო**

| ნუგზარ რაზიკაშვილი | თეიმურაზ მანჯგალაძე | თამთა ჯღარკავა |
|---|---|---|
| *საკრედიტო რისკების ოფიცერი* | *უფროსი საკრედიტო რისკების ოფიცერი* | *ვაჭრობის დაფინანსების სპეციალისტი* |

38983